



საჯარო სამართლის იურიდიული პირი  
სოციალური მომსახურების სააგენტო

**ბ რ ძ ა ნ ე ბ ა**



KA030402126878515

№ 04-488/ო

25 / დეკემბერი / 2015 წ.

**„საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სოციალური მომსახურების სააგენტოს ცენტრალური აპარატის სტრუქტურული და ტერიტორიული ერთეულების დებულებების დამტკიცების თაობაზე“ სსიპ -სოციალური მომსახურების სააგენტოს დირექტორის 2009 წლის 31 დეკემბრის N01/474-ო ბრძანებაში ცვლილებისა და დამატებების შეტანის თაობაზე**

სოციალური მომსახურების სააგენტოს (შემდგომში - სააგენტო) სოციალური დახმარებების ადმინისტრირების დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის, გ. აფხაზავას 2015 წლის 21 დეკემბრის N04-24181 მოხსენებითი ბარათის და „საშტატო განრიგისა და ხელფასის ფონდის დამტკიცების შესახებ“ სააგენტოს დირექტორის 2014 წლის 31 დეკემბრის N04-400/ო ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ” სოციალური მომსახურების სააგენტოს დირექტორის 2015 წლის 4 დეკემბრის N04-442/ო ბრძანების გათვალისწინებით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 27 ივნისის N190/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სოციალური მომსახურების სააგენტოს დებულების“ მე-4 მუხლის საფუძველზე,

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:**

1. „სსიპ-სოციალური მომსახურების სააგენტოს ცენტრალური აპარატის სტრუქტურული და ტერიტორიული ერთეულების დებულებების დამტკიცების თაობაზე“ სოციალური მომსახურების სააგენტოს დირექტორის 2009 წლის 31 დეკემბრის N01/474-ო ბრძანების პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით დამტკიცებულ „სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოს ცენტრალური აპარატის დებულებაში“ (შემდგომში - დებულება; დანართი N1) შეტანილი იქნეს ცვლილებები და 49-ე, 50-ე, 51-ე მუხლები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

**„მუხლი 49. დეპარტამენტის მიზნები და ამოცანები**

სოციალური დახმარებების ადმინისტრირების დეპარტამენტის საქმიანობის მიზნები და ამოცანებია:

ა) სააგენტოს ტერიტორიული ერთეულების მეშვეობით, ფულადი სოციალური დახმარების (შემდგომში-საარსებო შემწეობა) ანაზღაურება;

ბ) კომპეტენციის ფარგლებში, ფულადი სოციალური დახმარება-საარსებო შემწეობის სფეროში სააგენტოს ტერიტორიული ერთეულების მუშაობის ერთიანი პრაქტიკის დამკვიდრება;

გ) მოქალაქეთა სოციალური დაცვის ღონისძიებების გაუმჯობესების მიზნით, ფულადი სოციალური დახმარების (საარსებო შემწეობა) მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებში შესატანი ცვლილებებისა და დამატებების პროექტების მომზადებაში მონაწილეობის მიღება;

დ) კომპეტენციის ფარგლებში, ბენეფიციარებისათვის არასწორად ჩარიცხული თანხების საბიუჯეტო ანგარიშზე აღდგენის პროცესში მონაწილეობის მიღება;

ე) სააგენტოს ტერიტორიული ერთეულებისათვის სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზის ფორმირებაში პრაქტიკული და მეთოდური დახმარების გაწევა;

ვ) სააგენტოს ტერიტორიული ერთეულების მეშვეობით, „დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამით“ გათვალისწინებული ფულადი დახმარების ანაზღაურება;

ზ) კომპეტენციის ფარგლებში, „დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამის“ მოთხოვნათა გათვალისწინებით, სააგენტოს ტერიტორიული ერთეულების მუშაობის ერთიანი პრაქტიკის დამკვიდრება;

თ) „დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამის“ მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებში შესატანი ცვლილებებისა და დამატებების პროექტების მომზადებაში მონაწილეობის მიღება;

ი) საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროდან მოწოდებული მონაცემების საფუძველზე, დევნილთა, ასევე ლტოლვილისა და ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირთათვის განსაზღვრული ყოველთვიური შემწეობის ანაზღაურება.

## **მუხლი 50. დეპარტამენტის სტრუქტურა**

სოციალური დახმარების ადმინისტრირების დეპარტამენტის სტრუქტურაშია:

ა) სოციალური დახმარების სამმართველო;

ბ) სოციალური პროგრამების ადმინისტრირების სამმართველო.

## **მუხლი 51. დეპარტამენტში შემავალი სამმართველოების ფუნქციები**

სოციალური დახმარების სამმართველო, კომპეტენციის ფარგლებში, უზრუნველყოფს:

ა) ფულადი სოციალური დახმარების „საარსებო შემწეობის“ ადმინისტრირებასთან დაკავშირებით წერილებისა და მოქალაქეთა განცხადებების განხილვას, ასევე პასუხების პროექტ(ებ)ის მომზადებას;

ბ) ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის განმეორებით შესწავლა-გადამოწმებაზე გადაწყვეტილების მიღებას, კომპეტენციის ფარგლებში;

გ) ტერიტორიული ერთეულების წერილობით კონსულტირებას დეპარტამენტის მიერ ადმინისტრირებად საკითხებთან დაკავშირებით;

დ) მოქალაქეთა მიღებას და კონსულტაციის გაწევას დეპარტამენტის მიერ ადმინისტრირებად საკითხებთან დაკავშირებით;

ე) ტერიტორიული ერთეულებისათვის სწავლების (ტრენინგი) ჩატარებას;

ვ) სააგენტოს დებულებით და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებამოსილების ფარგლებში, სააგენტოს დირექტორის, კურატორი დირექტორის მოადგილისა და დეპარტამენტის უფროსის სხვა დავალებების შესრულებას.

სოციალური პროგრამების ადმინისტრირების სამმართველო, კომპეტენციის ფარგლებში, უზრუნველყოფს:

ა) ფულადი სოციალური დახმარების „საარსებო შემწეობის“ მიმღებთა პირად ანგარიშებზე თანხის

განსათავსებლად საჭირო მონაცემების (ელექტრონული ბაზების) სააგენტოს ხელმძღვანელობისათვის წარდგენას;

ბ) სახელმწიფო ბიუჯეტის ანგარიშზე დასაბრუნებელი ფულადი სოციალური დახმარების „საარსებო შემწეობის“ თანხის შესახებ მონაცემების მომზადებას;

გ) იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა და ლტოლვილთა ყოველთვიური შემწეობის გადარიცხვის ორგანიზებას;

დ) „დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამით“ გათვალისწინებული ფულადი დახმარების მიმღებთა პირად ანგარიშებზე თანხის განსათავსებლად საჭირო მონაცემების (ელექტრონული ბაზების) სააგენტოს ხელმძღვანელობისათვის წარდგენას;

ე) სააგენტოს დირექტორის ან კურატორი დირექტორის მოადგილის დავალების შემთხვევაში, ტერიტორიული ერთეულების მიერ ფულადი სოციალური დახმარების „საარსებო შემწეობის“ დანიშვნის, შერეების, შეწყვეტისა და აღდგენის საკითხებთან დაკავშირებით შესრულებული სამუშაოს ანალიზს;

ვ) მონაცემთა ერთიან ბაზაში განთავსებულ ინფორმაციასთან დაკავშირებით ტერიტორიული ერთეულებისათვის კონსულტაციის გაწევას;


ზ) ტერიტორიული ერთეულებისათვის სწავლების (ტრენინგი) ჩატარებას;

თ) სააგენტოს დებულებით და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებამოსილების ფარგლებში, სააგენტოს დირექტორის, კურატორი დირექტორის მოადგილისა და დეპარტამენტის უფროსის სხვა დავალებების შესრულებას.“.

2. სააგენტოს ადმინისტრაციულმა დეპარტამენტმა (გ. გოგოლაძე) უზრუნველყოს, დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემის (დეს) მეშვეობით, წინამდებარე ბრძანების დაგზავნა სააგენტოს ყველა სტრუქტურული და ტერიტორიული ერთეულისათვის.

3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე და მისი მოქმედება ვრცელდება 2015 წლის 7 დეკემბრიდან წარმოშობილ ურთიერთობებზე.

სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოს  
დირექტორი, საქართველოს შრომის,  
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის  
მინისტრის მოადგილე



ზაზა სოფრომაძე